



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
27.05.2022 – 06.06.2022
დასკვნის წარდგენის თარიღი
15.07.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	არქეოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	არქეოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0222 History and Archaeology / ისტორია და არქეოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60 სასწავლო კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №93

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეიმურაზ პაპასქირი – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბი ჭუმბურიძე – სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 2011 წლიდან იყო ნაწილი „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისა. სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შეცვლის შემდეგ, მათთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დაიშალა ცალკეული მიმართულებების მიხედვით. არქეოლოგიის მიმართულებით წარმოდგენილ იქნა „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შედგება 60 სასწავლო კრედიტისაგან, საიდანაც 42 კრედიტი სავალდებულო, ხოლო 18 კრედიტი არჩევით კომპონენტებს ეთმობა. კვლევითი კომპონენტის სახით მოცემულია სადოქტორო ნაშრომი. არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, პროგრამა თავისი შინაარსითა თუ სტრუქტურით უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია – არქეოლოგიის დოქტორი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა არაგემიური მონიტორინგის გზით, დისტანციურ ფორმატში, ცენტრის მიერ გაზიარებული მასალების საფუძველზე.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

არაგემიური მონიტორინგის ფარგლებში შესაფასებელი იყო I, II და IV სტანდარტები. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაშია სამივე სტანდარტთან.

▪ რეკომენდაციები

დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს გააჩნია ორი რეკომენდაცია:

2.3.1 დაზუსტდეს საგნის – „ქრისტიანული რელიგიის, კულტურისა და ხელოვნების კვლევა არქეოლოგიური მეთოდების გამოყენებით“ – სილაბუსში მოცემული სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა.

4.1.1 მოწესრიგდეს დოკუმენტაცია და პროგრამაში ჩართული პერსონალი მითითებულ იქნას მათი სწორი აკადემიური თანამდებობებით.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს გააჩნია შემდეგი რჩევები:

2.2.1 სასურველია, სემესტრულ გეგმაში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და მიეთითოს სასწავლო კურსების წინაპირობები;

2.2.2 სასურველია, სემესტრულ გეგმაში მითითებული იყოს დამოუკიდებელი საათების რაოდენობა.

2.4.1 სასურველი იქნებოდა, დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ყოფილიყო საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან თუ კვლევით ცენტრებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები თუ ხელშეკრულებები.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 2011 წლიდან იყო ნაწილი „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისა. სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შეცვლის შემდეგ, მათთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დაიშალა ცალკეული მიმართულებების მიხედვით. არქეოლოგიის მიმართულებით წარმოდგენილ იქნა „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. არქეოლოგიის სფეროს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად შეიცვალა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება „არქეოლოგია“. ასევე შეიცვალა კვალიფიკაციის კოდი და 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანების თანახმად პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრა დეტალური სფეროს „0222 ისტორია და არქეოლოგია“ მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე დაკონკრეტდა პროგრამის მიზნები, რომლებიც ნათლად არის ჩამოყალიბებული. მათში ასახულია, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე მკვლევრები, „რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან არქეოლოგიური კვლევებისთვის საჭირო უახლესი მეთოდებისა და ტექნიკების ცოდნით, შეძლებენ საკუთარი კვლევის მყარ თეორიულ საფუძველზე დამყარებას“ და რომლებსაც „ექნებათ კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპრეტაციის უნარები“. გარდა ამისა, ისინი შეძლებენ თავისი წვლილის შეტანას არქეოლოგიურ კვლევაში საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის ფარგლებში.

პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3 -ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0222 ისტორია და არქეოლოგია“. პროგრამა მიმართულია სამეცნიერო კვლევის თანამედროვე სტანდარტებით განხორციელებასა და ახალი ცოდნის შექმნაზე, როგორც კონკრეტულად არქეოლოგიის დისციპლინის პერსპექტივიდან, ისე ინტერდისციპლინურ ჭრილში. სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, დასაქმდეს აკადემიურ დაწესებულებებში, კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებში, მუზეუმებში, არქეოლოგიურ ექსპედიციებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია: <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission>.
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაშლის შემდეგ წარმოდგენილი არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. სწავლის შედეგები მიღწევადიაა და ისინი შეესაბამება პროგრამის მიზანს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს (0222 ისტორია და არქეოლოგია“) და მისანიჭებელ კვალიფიკაციას „არქეოლოგიის დოქტორი“.

პროგრამის კურიკულუმი უზრუნველყოფს, რომ არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: 1. საკვლევი საკითხის შესახებ არსებული ცოდნის შეფასების საფუძველზე, შესაბამისი თეორიების/თეორიული ჩარჩოს გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება არქეოლოგიის ერთი ან რამდენიმე ქვემომართულების ფარგლებში (პრეისტორიული, კლასიკური, შუა საუკუნეები და ა.შ.); 2. საველე ან ლაბორატორიული მუშაობის პროცესში რელევანტური კვლევის მეთოდების ან/და ტექნიკების გამოყენება მონაცემების შეგროვების და ანალიზის მიზნით; 3. კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და გაზიარებას, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის გზით, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციების დონეზე; 4. ცოდნის ტრანსფერი სააუდიტორიო სწავლების პროცესში, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; 5. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე კვლევის შემდგომი პროცესებისა და ახალი იდეების განვითარება.

პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია ცალკეული კურსების სწავლის შედეგების მიხედვით, რომლებიც გამომდინარეობს სასწავლო კურსების მიზნებიდან და შინაარსიდან. პროგრამის სწავლის შედეგები ასახულია პროგრამის კომპეტენციების რუკაში, ასევე მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში. ისინი შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი.

უსდ ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. მასში მოქმედებს პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების ნიშნულების მიღწევას. ამისთვის გამოიყენება სამიზნე ნიშნულების რუკა.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა; ○ კომპეტენციების რუკა; ○ მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ სამიზნე ნიშნულების რუკა; ○ სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის	✓			

მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
--	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარული სადოქტორო პროგრამის დაშლის შემდეგ, წარმოდგენილ „არქეოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაზე შეიცვალა წინაპირობები და დაკონკრეტდა დარგების მიხედვით. აქედან გამომდინარე, „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასაწყებად საჭიროა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ჩამოთვლილი დარგებიდან ერთ-ერთში: ისტორია, არქეოლოგია, კულტურული მემკვიდრეობის კვლევები, პალეოანთროპოლოგია, რელიგია და თეოლოგია, სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა და მშენებლობა. გარდა ამისა, აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეზე დადასტურება (შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან საერთაშორისო სერტიფიკატით). უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სადოქტორო კვლევითი განაცხადი და გაიაროს ზეპირი გამოცდა, რომელზეც უნდა მოახდინოს თავისი კვლევითი განაცხადის პრეზენტაცია. მთლიანობაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ზეპირი გამოცდის შეფასების ფორმა; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://iliauni.edu.ge/uploads/other/64/64732.pdf.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა შედგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მიღების წესი და სწავლის შედეგები.

ინტერდისციპლინარული პროგრამის დაშლის შემდეგ, წარმოდგენილი არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა შედგება 60 სასწავლო კრედიტისაგან, საიდანაც 42 კრედიტი სავალდებულო და 18 კრედიტი არჩევითი კომპონენტებისაგან შედგება. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა პროგრამის სწავლის სფეროების კლასიფიკატორსა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კვლევითი კომპონენტის სახით მოცემულია სადისერტაციო ნაშრომი. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში, კვლევის პროგრესისა და თანმიმდევრული უკუკავშირის მიღების მიზნით, დამატებულია კოლოკვიუმების სერია.

სასწავლო გეგმა ჩართულია კურიკულუმში, რომელშიც მოცემულია სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების სასწავლო კურსების ჩამონათვალი, მათი განხორციელების სემესტრები და კრედიტები. პროგრამას ასევე ბოლოში დართული აქვს სემეტრული გეგმა, რომელშიც მითითებულია კომპონენტის დასახელება, წინაპირობა, ლექტორი, საკონტაქტო საათები, კრედიტი და სემეტრები.

სასურველია, რომ სემეტრულ გეგმაში ასევე ჩანდეს დამოუკიდებელი საათების რაოდენობა.

პროგრამის შინაარსში ასევე ასახულია:

- ✓ სადოქტორო სემინარის ფარგლებში პროსპექტუსის მომზადების სტრატეგია, რაც გულისხმობს; საკვლევი საკითხის და პრობლემის განსაზღვრას; კვლევებზე დაფუძნებული ცოდნის, კვლევის მეთოდოლოგიების, მიდგომებისა და კონცეფციების ანალიზის საფუძველზე კვლევის მიზნის დასახვას, ბიბლიოგრაფიისა და კვლევის გეგმის შედგენას.
- ✓ ასისტორების კომპონენტის მიზანი, ამოცანები, ტიპი, განხორციელების გზები და სხვადასხვა აქტივობები
- ✓ სადოქტორო სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობა - საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში მინიმუმ ერთი პუბლიკაციის გამოქვეყნება.

- ✓ სადოქტორო კოლოქვიუმების მიზანი, ამოცანები, განხორციელების გზები და ანგარიშის შეფასება.
- ✓ სადისერტაციო ნაშრომის არსი, მიზანი და შეფასება.

აღსანიშნავია, რომ სემინარის, ასისტირების, კოლოქვიუმის და სადისერტაციო ნაშრომების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შესაბამის კონცენფციებში.

კურიკულუმში მითითებულია, რომ სწავლების ასისტირების წინაპირობაა „კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში“; კვლევითი ასისტირების წინაპირობა კი არის პროსპექტუსის დაცვა. აღნიშნული წინაპირობები არ არის ასახული სემეტრულ გეგმაში, ხოლო ასისტირების კონცეფციაში კი მითითებულია, რომ კვლევის ასისტირების აქტივობაში ჩართვა დოქტორანტს შეუძლია პროსპექტუსის დაცვის შემდეგ, ხოლო სწავლების ასისტირების წინაპირობებთან დაკავშირებით კი მინიშნება არ არის. ასევე სადოქტორო სემინარი 2-ის კონცეფციაში დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სადოქტორო სემინარი 1, ხოლო დარგობრივი სემინარის კონცეფციაში დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სადოქტორო სემინარი 2. არც ეს წინაპირობებია სემესტრულ გეგმაში ასახული. როგორც ჩანს, ადგილი აქვს გარკვეულ ტექნიკურ ხარვეზს და სასურველია, რომ წინაპირობები ასევე აისახოს სემესტრულ გეგმაში, რაც მას მეტ ინფორმაციულობას და სიცხადეს შესძენს.

ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის დაშლის შემდეგ დაკონკრეტდა კვლევის სფეროები, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: ქვის ხანის ადამიანთა ჯგუფებისა და საზოგადოებების წევრთა პალეოანთროპოლოგიური, მოლეკულარულ-გენეტიკური თავისებურებები; მათი ქცევის მოდელირება-რეკონსტრუქცია კლიმატური თუ სხვა გარემოპირობების ცვლილებების ფონზე; ქვის ხელსაწყოთა ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიცირება და ამ ინდუსტრიის განვითარების ანალიზი; ენოლითური (ქალკოლითური) კულტურის თავისებურებანი კავკასიაში; ლითონთა მწარმოებელ ადრეულ საზოგადოებათა კულტურა საქართველოსა და კავკასიაში; შუაბრინჯაოს ხანის დაწინაურებული ლითონმწარმოებლობა და ყორღანული კულტურა საქართველოში; გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის კულტურის მატარებელი ტომობრივი გაერთიანებები და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე; ანტიკური ეპოქის კავკასიური კულტურები: კოლხეთისა და იბერიის სამეფოების პოლიტიკურ-ეკონომიკური ყოფა; მათი კულტურის კვლევა ეგეოსურ და აღმოსავლურ ცივილიზაციებთან კავშირში; კავკასიის ქრისტიანული და ისლამური ქვეყნების კულტურათა არქეოლოგიური კვლევა; შუა საუკუნეების საქართველოს

<p>ისტორიული ძეგლების არქეოლოგიური კვლევა. არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, პროგრამა თავისი შინაარსითა თუ სტრუქტურით უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია – არქეოლოგიის დოქტორი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>2.2.1 სასურველია, სემესტრულ გეგმაში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და მიეთითოს სასწავლო კურსების წინაპირობები;</p> <p>2.2.2 სასურველია, სემესტრულ გეგმაში მითითებული იყოს დამოუკიდებელი საათების რაოდენობა.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტები შემდეგია: ა) ორი სადოქტორო სემინარი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტები (ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად) მუშაობენ პროსპექტუსზე და იცავენ მას დასრულებული სახით; ბ) ასისტირებას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი ერთვება სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესში და იძენს აუცილებელ უნარებს როგორც ლექცია-სემინარების ჩასატარებლად, ისე კვლევის დამოუკიდებლად განსახორციელებლად; გ) თეორიულ კურსებს (1. არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიები; 2. კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში) კვლევითი და სასწავლო პროცესის გარშემო; დ) პრაქტიკულ კურსს აკადემიური ნაშრომის დასაწერად, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო თემატურ ჟურნალში, რაც წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად წარდგენის წინაპირობას; ე) სადოქტორო კოლოქვიუმები (მე-3 სემესტრიდან მოყოლებული, სტუდენტს აქვს ვალდებულება წარმოადგინოს სემესტრში ერთი კოლოქვიუმი მაინც სადისერტაციო თემაზე, რითაც ხდება კვლევითი პროცესის სისტემატიზაციის უზრუნველყოფა; ვ) სადისერტაციო ნაშრომი. გარდა სავალდებულო კომპონენტებისა, დოქტორანტს ევალება არჩევითი კომპონენტების შესრულება 18 კრედიტის ოდენობით.

სადოქტორო პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტის სწავლის შედეგები სრულ თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისა და სადოქტორო ნაშრომის შედეგები ერთობლიობით ქმნის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგში არსებულ აქტუალურ მიღწევებზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ აქ მოცემულია როგორც ინგლისურენოვანი, ისე ქართულენოვანი (მათ შორის თარგმნილი) უახლესი ლიტერატურა. პროგრამის

სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები, ასევე შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საკუთრივ ამ კურსის სწავლის შედეგებს. ერთგვარ გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს მხოლოდ ერთი არჩევითი საგნის – „ქრისტიანული რელიგიის, კულტურისა და ხელოვნების კვლევა არქეოლოგიური მეთოდების გამოყენებით“ – სილაბუსი, რომელშიც მოცემული ლიტერატურის წაკითხვა სტუდენტს 6 კრედიტის ფარგლებში თეორიულადაც კი ვერ შეეძლება მისი რაოდენობის (თითქმის 100 დასახელება) გამო. თითოეული თემის ქვემოთ მოცემული ლიტერატურის გვერდების რაოდენობა კი ზოგჯერ რამდენიმე ასულ გვერდს აჭარბებს. არ არის გამორიცხული, რომ ზოგ შემთხვევაში, როდესაც უბრალოდ მითითებულია მთლიანად წიგნი, სინამდვილეში წასაკითხი იყოს რაღაც ნაწილი, ან რამდენიმე დასახელებული ლიტერატურიდან ყველა არ იყოს სავალდებულოდ წასაკითხი, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს სილაბუსი ნამდვილად საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას ამ კუთხით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - სილაბუსები.

რეკომენდაციები:

2.3.1 დაზუსტდეს საგნის – „ქრისტიანული რელიგიის, კულტურისა და ხელოვნების კვლევა არქეოლოგიური მეთოდების გამოყენებით“ – სილაბუსში მოცემული სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**
- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
 -

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები ითვალისწინებს სადოქტორო ნაშრომის დასაწერად საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას. პროგრამის სავალდებულო კომპონენტები უზრუნველყოფს კვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამა მხარდაჭერილია საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს არსებობით, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი კვლევითი პროექტების განვითარებას. გარდა ამისა, პროგრამა თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან, რაც დოქტორანტს აძლევს საშუალებას, ჩართული იყოს მსოფლიო სამეცნიერო ქსელში და ჰყავდეს უცხოელი თანახელმძღვანელი. ამავე დროს, დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი სხვადასხვა ქართულ თუ უცხოურ კვლევით დაწესებულებასთან არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ან ხელშეკრულებები.

სემინარების მიზანია, განუვითაროს დოქტორანტს საკვლევის საკითხის განსაზღვრის, მიდგომების და კონცეფციების შეფასების, კრიტიკული ანალიზის და სინთეზის, კვლევის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების და ახალი ცოდნის შექმნის, მომიჯნავე დისციპლინების უახლესი მიღწევების გამოყენების უნარი. სადოქტორო კოლოკვიუმების სერია უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მის შედეგზე ორიენტირებულობას. მისი მიზანია კვლევასთან დაკავშირებული ავტონომიურობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დოქტორანტი მის მიერ შერჩეული მიმართულებით დამოუკიდებლად ახორციელებს მყარ თეორიულ საფუძველზე დაფუძნებულ ორიგინალურს კვლევას უახლესი მეთოდების ან/და ტექნიკების გამოყენებით. დოქტორატი იძენს უნარს, სამეცნიერო კომუნიკაციის ნორმების დაცვით წარადგინოს კვლევის შედეგები და დაასაბუთოს ახალი ცოდნის მნიშვნელობა საკვლევი მიმართულების განვითარებაში.

ასისტირების მიზანს წარმოადგენს სწავლებისა და კვლევის აკადემიურ პროცესებთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც დოქტორანტის შემდგომი წარმატებული აკადემიური კარიერის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ასისტირება ითვალისწინებს შესაბამისი უნარების შეძენას როგორც სწავლების, ასევე კვლევის პროცესში და მოიცავს შემდეგ აქტივობებს: პროფესორის ასისტირება აკადემიური კურსის ფარგლებში, კურსის დამოუკიდებლად ჩატარება, კვლევით პროექტებში მონაწილეობა, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობა, სამაგისტრო სტუდენტების ტიუტორობა ან სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ნაშრომების რეცენზირება, სტუდენტების შეფასება, კურსის მასალების მომზადება, კურსის კომპონენტის (მაგ, სემინარები, სავლე სამუშაო, ლაბორატორიული სამუშაო და ა.შ.) ჩატარება,

არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიები სტუდენტს შეისწავლის არქეოლოგიური კვლევის ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიებს და მათ გამოყენებას. უნვითარებს დოქტორანტებს სხვადასხვა სახის მონაცემთა (არქეოლოგიური, გეოგრაფიული, პალინოლოგიური, ეთნობოტანიკური და სხვა) ინტეგრირების, ანალიზის, ინტერპრეტაციის, არქეოლოგიური კულტურების ფართო კონტექსტში განხილვის და მათი შექმნილი საზოგადოების კვლევის უნარს.

მონაცემთა სივრცითი ანალიზი და გამოსახვა დოქტორანტს აძლევს საშუალებას დაეუფლოს გეოსივრცითი მონაცემებთან მუშაობის უნარს კვლევითი ამოცანების გადასაჭრელად.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსების და კვლევითი კომპონენტის საშუალებით შეძენილი ცოდნის, უნარების და კვლევითი აქტივობების შეფასების კრიტერიუმები გაწერილია თითოეულ სილაბუსში/კონცეფციაში. სადოქტორო ნაშრომის შეფასების და დაცვის პროცესის ეტაპები, პროცედურა და კრიტერიუმები სრულადაა გაწერილი სადისერტაციო ნაშრომის კონცეფციაში.

დოქტორანტების პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებისათვის აქტიურად გამოიყენება ილიას უნივერსიტეტში არსებული

<p>შესაბამისი პროფილის საუნივერსიტეტო ინსტიტუტები და ბაზები: დედამიწის შემსწავლელი ინსტიტუტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ჭიათურის ბაზა, ვანის ბაზა, დედოფლისწყაროს ბაზა, სტეფანწმინდის ბაზა, გრიგოლეთის ბაზა, მანგლისის ბაზა; უნივერსიტეტის არქეოლოგიური ლაბორატორია; შუა საუკუნეების კვლევების ცენტრი; ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის კვლევების ლაბორატორია; კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სილაბუსები და კონცეფციები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>2.4.1 სასურველი იქნებოდა, დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ყოფილიყო საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან თუ კვლევით ცენტრებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები თუ ხელშეკრულებები.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა საგნებში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისთვის ძირითადად გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები და აქტივობები: ლექციები და სემინარები; სუპერვიზია, პრაქტიკული სავსე-არქეოლოგიური მუშაობა; კამერალური ლაბორატორული მუშაობა, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირება/პრეზენტაცია და ა.შ. ყველა ეს მეთოდი და აქტივობა განსაზღვრულია სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით და მოცემულია შესაბამის სილაბუსებში ან კონცეფციის დოკუმენტებში. აღნიშნული მეთოდები და აქტივობები სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს და სწავლის შედეგებს. პროგრამაში გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით შეიძლება გაიზომოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სილაბუსები და კონცეფციები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
